

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ქართული ხილის კომპანია”

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებილი წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ქართული ხილის კომპანიის“ -ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

შპს "ქართული ხილის კომპანია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი	31/12/2023	31/12/2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	50
ნაღდი ფული სალაროში	-	50
ლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	7,374	3,312
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	19	97
ევრო ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	303	294,568
ნაღდი ფული ბანკებში	7,696	297,977
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	367,711	3,963
მოთხოვნები გაცემული სესხის %-დან	5,515	5,515
კაპიტალის შევს.პარტ.გრძელვ.მოთხ.მიმდ.ნაწილი	64,301	56,301
მოკლევადიანი მოთხოვნები	437,527	65,779
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	468	28,159
მცირეფასიანი ინვენტარი	37,344	37,344
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	37,812	65,503
მიმდინარე აქტივები	483,035	429,309
მიწის ნაკვეთები	1,110,451	1,107,065
ნაგებობები	664,837	524,487
მანქანა-დანადგარები	304,408	284,816
ბიოლოგიური აქტივი	1,188,139	1,202,873
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	901	825
ავეჯი	24	14
სხვა ავტოტრანსპორტი	99,240	93,746
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	333,241	502,086
ლიცენზიები	4,810	4,550
გრძელვადიანი აქტივები	3,706,051	3,720,462
სულ აქტივები	4,189,086	4,149,772
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქ.ვალდებულებებ	51,679	186228.00
გადასახდელი ხელფასები	88	120.00
მოკლევადიანი სესხები	318,426	-
საგადასახადო ვალდებულებები	14,643	21,802
გადასახდელი პროცენტები	242,322	252,529
მოკლევადიანი ვალდებულებები	627,158	460,679
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	2,363,200	2,363,200
საკუთარი კაპიტალი	2,363,200	2,363,200
მოგება/ზარალი	1,198,728	1,325,895
სარეზერვო კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი	3,561,928	3,689,095

შპს "ქართული ხილის კომპანია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი	31/12/2023	31/12/2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	50
ნაღდი ფული საღაროში	-	50
ლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	7,374	3,312
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	19	97
ევრო ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	303	294,568
ნაღდი ფული ბანკებში	7,696	297,977
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	367,711	3,963
მოთხოვნები გაცემული სესხის %-დან	5,515	5,515
კაპიტალის შეეს.პარტ.გრძელვ.მოთხ.მიმდ.ნაწილი	64,301	56,301
მოკლევადიანი მოთხოვნები	437,527	65,779
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	468	28,159
მცირეფასიანი ინვენტარი	37,344	37,344
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	37,812	65,503
მიმდინარე აქტივები	483,035	429,309
მიწის ნაკვეთები	1,110,451	1,107,065
ნაგებობები	664,837	524,487
მანქანა-დანადგარები	304,408	284,816
ბიოლოგიური აქტივი	1,188,139	1,202,873
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	901	825
ავეჯი	24	14
სხვა ავტოტრანსპორტი	99,240	93,746
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	333,241	502,086
ლიცენზიები	4,810	4,550
გრძელვადიანი აქტივები	3,706,051	3,720,462
სულ აქტივები	4,189,086	4,149,772
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქ.ვალდებულებებ	51,679	186,228
გადასახდელი ხელფასები	88	120
მოკლევადიანი სესხები	318,426	-
საგადასახადო ვალდებულებები	14,643	21,802
გადასახდელი პროცენტები	242,322	252,529
მოკლევადიანი ვალდებულებები	627,158	460,679
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	2,363,200	2,363,200
საკუთარი კაპიტალი	2,363,200	2,363,200
მოგება/ზარალი	1,198,728	1,325,895
სარეზერვო კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი	3,561,928	3,689,095

დირექტორი



ი.ხუციშვილი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"
მოგება - ზარალის ანგარიშგება

	შინაარსი	2023 წელი	2024 წელი
საოპერაციო შემოსავლები			
საოპერაციო შემოსავლები			
	შემოსავალი რეალიზაციიდან	1,237,757	1,540,613
	გაყიდვების თვითღირებულება	683,914	780,498
	ხელფასი ადმინისტრაციული	211,110	337,489
	საიჯარო ქირა	1,817	969
	კომუნიკაციის ხარჯი	25	42
	სატრანსპორტო ხარჯი ადმ	2,812	1,817
	ელექტრო ენერგიის ხარჯი	41,658	33,478
	ცვეთა ადმინისტრაციული	208,263	252,118
	სხვა საგადასახადო ხარჯები	32,256	33,483
	საბანკო ხარჯები	687	8,849
	დაზღვევის ხარჯი		1,296
	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	659	1,648
	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	499,287	671,189
	საოპერაციო ხარჯები	1,183,201	1,451,687
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
არასაოპერაციო შემოსავლები			
	მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	13,003	8,540
	არასაოპერაციო შემოსავალი		51,393
არასაოპერაციო ხარჯები			
	საპროცენტო ხარჯი	21,491	4,531
	ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	24,089	9,387
	ჯარიმა,სანქცია საურავი		200
	არასაოპერაციო ხარჯი		7,573
მოგება		21,980	127,167

დირექტორი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"
მოგება - ზარალის ანგარიშგება

შინაარსი	2023 წელი	2024 წელი
საოპერაციო შემოსავლები		
საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,237,757	1,540,613
გაყიდვების თვითღირებულება	683,914	780,498
ხელფასი ადმინისტრაციული	211,110	337,489
საიჯარო ქირა	1,817	969
კომუნიკაციის ხარჯი	25	42
სატრანსპორტო ხარჯი ადმ	2,812	1,817
ელექტრო ენერგიის ხარჯი	41,658	33,478
ცვეთა ადმინისტრაციული	208,263	252,118
სხვა საგადასახადო ხარჯები	32,256	33,483
საბანკო ხარჯები	687	8,849
დაზღვევის ხარჯი		1,296
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	659	1,648
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	499,287	671,189
საოპერაციო ხარჯები	1,183,201	1,451,687
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		
არასაოპერაციო შემოსავლები		
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	13,003	8,540
არასაოპერაციო შემოსავალი		51,393
არასაოპერაციო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი	21,491	4,531
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	24,089	9,387
ჯარიმა, სანქცია საურავი		200
არასაოპერაციო ხარჯი		7,573
მოგება	21,980	127,167

დირექტორი



ი. ხუციშვილი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023 წ	2024 წ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	836	7695
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-37141	919353
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	-348223
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	44000	-280798
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6859	290332
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7695	298027

დირექტორი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023 წ	2024 წ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	836	7695
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-37141	919353
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	-348223
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	44000	-280798
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6859	290332
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7695	298027

დირექტორი



ი. ხუციშვილი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ღარი	განთავსებული კაპიტალი	დამატებით შენატანი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვი-ლი დეფიციტი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,363,200	0	1,176,748	3,539,948
წლის შემოსავალი	-	-	21,980	21,980
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ წლის სრული მოგება 2023 წლისთვის	-	-	21,980	21,980
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,363,200	0	1,198,728	3,561,928
წლის შემოსავალი	-	-	127,167	127,167
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2024 წლისთვის	-	-	127,167	127,167
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,363,200	0	1,325,895	3,689,095

დირექტორი

ი. ხუციშვილი

შპს "ქართული ხილის კომპანია"
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	განთავსებული კაპიტალი	დამატებით შენატანი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვი-ლი დეფიციტი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,363,200	0	1,176,748	3,539,948
წლის შემოსავალი	-	-	21,980	21,980
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ წლის სრული მოგება 2023 წლისთვის	-	-	21,980	21,980
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,363,200	0	1,198,728	3,561,928
წლის შემოსავალი	-	-	127,167	127,167
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2024 წლისთვის	-	-	127,167	127,167
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,363,200	0	1,325,895	3,689,095

დირექტორი

ი. ხუციშვილი



ი. ხუციშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ქართული ხილის კომპანია” დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი არის 406130306.

იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ქსოვრისი, საქართველო.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ამავე მისამართზე.

კომპანიის დამფუძნებელია ინგა ხუციშვილი - (06001001407 - საქართველო) – 100 %. ის აგრეთვე არის კომპანიის დირექტორიც.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხილის (ვაშლის და ქლიავის) მოყვანა და საბითუმო რეალიზაცია. ვაშლის და ქლიავის ბაღები გაშენებულია მცხეთის რაიონ სოფელ ქსოვრისში კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა

შპს “ქართული ხილის კომპანიის” წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფას–ის) შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, მოგება–ზარალში აღიარდება ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაიყვანება იმ თარიღით არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით, როდესაც განისაზღვრა რეალური ღირებულება. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა აღირიცხება რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

აქტივებისთვის ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება თანაბრად განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. წრფივი ამორტიზაციის მეთოდი გამოიყენება, რადგან ის უზრუნველყოფს აქტივის ღირებულების თანაბარ განაწილებას ექსპლუატაციის პერიოდში. საექსპლუატაციო ვადები პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები ცვალებადია აქტივის ტიპის მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	20 წელი
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	20 წელი
კომპიუტერული და ელექტრ მოწყობ.	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზია, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადიღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულებაგამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგებისდასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ

ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068
ლარი/1 ევრო	2.9306

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გადაცემის შემდეგ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). უცხოურ ვალუტაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკში არსებული ანგარიშებზე ერიცხება 34, 48 დოლარი და 100 415,72 ევრო, რომელიც კონვერტირებულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

4. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები აღიარებულია გარიგების ფასით და წარმოქმნილია კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის დებიტორები არიან მსხვილი სამაცივრე მეურნეობები და საბითუმო რეალიზაციის კომპანიები. ანაზღაურება ხორციელდება

კონსიგნაციის პირობების მიხედვით.

5. მარაგები და მზა პროდუქცია

მარაგების ღირებულება ასახულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის, ტრანსპორტირების, სატერმინალო, საბაჟოზე მის იმპორტთან დაკავშირებულ ხარჯებს.

31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული მარაგები მოიცავს მხოლოდ მცირეფასიან ინვენტარს. კომპანია მთლიანად ახდენს აღებული მოსავლის რეალიზაციას კალენდარულ წელში, შესაბამისად მზა პროდუქციის მარაგი წლის ბოლოს აღარ რჩება.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება წარმოდგენილია საბალანსო ნარჩენი ღირებულებით და მოიცავს:

ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულების მეთოდით - (ხეხილის ბაღებს) – 1 202 873 ლარის ოდენობით;

მიწის ნაკვეთი: 1 107 065 ლარი;

შენობა-ნაგებობა: 809 303 ლარი

სხვა ძირითადი საშუალებები: 601 221 ლარი.

7. სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულება შეადგენს 186 228 ლარს და წარმოადგენს სხვადასხვა მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანებას, რომელიც დაიფარება საანგარიშგებო წლის მომდევნო წელს.

8. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოკლევადიანი სესხი ქონდა აღებული ერთი ფიზიკური პირისგან, რომელიც დაიფარა 2024 წელს. კომპანიას სხვა სესხები აღარ გააჩნია.

9. გაუნაწილებელი მოგება.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს დაგროვილ ფინანსურ მოგებას, რომელი არ გაცემულა დივიდენდების სახით.

დირექტორი

ინგა ხუციშვილი

კონსიგნაციის პირობების მიხედვით.

5. მარაგები და მზა პროდუქცია

მარაგების ღირებულება ასახულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის, ტრანსპორტირების, სატერმინალო, საბაჟოზე მის იმპორტთან დაკავშირებულ ხარჯებს.

31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული მარაგები მოიცავს მხოლოდ მცირეფასიან ინვენტარს. კომპანია მთლიანად ახდენს აღებული მოსავლის რეალიზაციას კალენდარულ წელში, შესაბამისად მზა პროდუქციის მარაგი წლის ბოლოს აღარ რჩება.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება წარმოდგენილია საბალანსო ნარჩენი ღირებულებით და მოიცავს:

ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულების მეთოდით - (ხეხილის ბაღებს) - 1 202 873 ლარის ოდენობით;

მიწის ნაკვეთი: 1 107 065 ლარი;

შენობა-ნაგებობა: 809 303 ლარი

სხვა ძირითადი საშუალებები: 601 221 ლარი.

7. სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულება შეადგენს 186 228 ლარს და წარმოადგენს სხვადასხვა მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანებას, რომელიც დაიფარება საანგარიშგებო წლის მომდევნო წელს.

8. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოკლევადიანი სესხი ქონდა აღებული ერთი ფიზიკური პირისგან, რომელიც დაიფარა 2024 წელს. კომპანიას სხვა სესხები აღარ გააჩნია.

9. გაუნაწილებელი მოგება.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს დაგროვილ ფინანსურ მოგებას, რომელი არ გაცემულა დივიდენდების სახით.

დირექტორი



ინგა ხუციშვილი